ცნობის ფურცელი

№ 1833 ორშაბათი, 10 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1833

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჭრის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (ნ. 0—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანთა, საბავშვო და თვალის.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასსისტენტი

ექიმი

ა. ი. ბალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—3)

საწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (**переэкзаменовка**). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—8)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქნება დაბა **სურამში**

სარეპეტიციო

და

მოსამზადებელი კლასები.

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამოცე. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—15)

ახალი ამბავი

◆ როგორც შევიტყვეთ, ეპისკოპოზს კირიონს უთხოვნია უმაღლეს სასულიერო მთავრობისათვის განათავისუფლონ სამსახურიდან და დართონ ნება დავით-გარეჯისმონასტერში იცხოვროს. ან და იერუსალიმში გაგზავნონ იქაურ ძველ ქართულ ხელ-ნაწერებისა და წარწერების შესასწავლ-გამოსაკვლევად.

◆ ამ ჟამად ტფილისში მყოფ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებმა ვ. მ. პეტრიაშვილმა და პ. თ. ბარაკოვმა აღნიშნულ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოგზაურ სტუდენტებთან ერთად გუშინ 9 ივნისს დაათვალიერეს დაწვრილებით კავკასიის მუზეუმი.

◆ გუშინ, 9 ივნისს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში, გ. მ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით კერძო კრება ჰქონდა სახალხო წარმოდგენების გამმართველ ქართულსექციას და სახალხო სცენის მოღვაწეთ რამდენისამე საქმის განსახილველად. კრებაზედ დამსწრეთ სექციის ახალ წევრთა კანდიდატებად ხმისუმეტესობით ამოირჩიეს შემდეგნი პირნი: ქ-ნნი მ. დემურიასი, ს. რომანიშვილი, თ. ჩიჟავაძე და ბ-ნნი ნ. გოცირიძე, თავ ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ირ. ხოსიტაშვილი, ალ. სოლოლაშვილი, ი. ცინცაძე, ი. ბესელიძე, თუშმალაშვილი და ხახანაშვილი. კრების ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციას აქამდე ყოველ თვეობით მცირეოდენს მატერიალურს შემწეობას აძლევდა. როგორც შევიტყვეთ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, უსახსრობისა გამო, სექციისათვის აღნიშნული შემწეობა უკვე მოუსპია.

◆ დღეს, 10 ივნისს ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს 11 ძველი და 18 ახალი საქმე. ახალ საქმეთაგან სხვათა შორის უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: დადგენილება ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოსი, თუ როგორის წესით უნდა წარედგინოს ხოლმე გუბერნატორს დასამტკიცებლად გამგეობის ახლად ამორჩეული წევრი. არჩევანი იმ სარევიზიო კომისიის წევრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის 1901 წლის მოქმედების ანგარიში; შუამდგომლობა ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობისა, დაეთმოს მას ავლაბარში ქალაქის თავისუფალი მიწა, სადაც უნდა მოეწყოს ბავშვთა სათამაშო გასართობები; დადგენილება გამგეობისა ქალაქის ლომბარდის მოხელის გიორგი ლაზარევის პასუხის გებაში მიცემის შესახებ სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის და სხ. სხდომა 8 საათზეა დანიშნული.

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის უკანასკნელ კლასების მოსწავლეთა ეგზამენები დასრულდება ხვალ 11 ივნისს.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებელსა და დედათა მეორე გიმნაზიის უკანასკნელ კლასების მოსწავლეთა ეგზამენები დასრულდება დღეს 10 ივნისს.

◆ შაბათს, 15 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს ერთ საყურადღებო საქმეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ დიმიტრი რეკვავასას, რომელსაც თავისი მეუღლის მოკვლა ედება ბრალად.

დაბა-სოფლები

სოფ. მუკუზანი (სიღნაღის მაზრა). ამ ბოლოს დროს მეტად გამრავლდა ჩვენს სოფელში ქურდ-ბაცაცობა. თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ცხენების პარვა, ვაზების აკაფვა ვენახში, ღვინოს მოპარვა ქვევრიდან და სხვა. ამას წინად კნ. თ. ვაჩნაძეს მოჰპარეს მარნიდან ღვინო; ქვრივს ნ. მანთაშევისას გაუკაფეს ვენახში ვაზები; ეხლა ხან მუკუზნის მღვდელს მოჰპარეს მეოთხე ცხენი; მუკუზნიდან ურიათუბანში მიმავალ ზაქრო კუდულაშვილს გზაში გაუკრეს ხელ-ფეხი და ჯაგებში შეაგდეს. მღვდელმა, რომელსაც ცხენები; მოჰპარეს, გუბერნატორს მიჰმართა და სთხოვა; სოფელს გადაახდევინონ დაკარგულის ცხენების საფასური.

სოფელში ბევრმა იცის, ქურდი ვინც არის, მაგრამ იმით არავინ ამბობს.

მუკუზნელი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

(3 ივნისის სხდომა)

(გაგრძელება)

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბატონებო! ნუ ჩქარობთ კენჭის ყრით საქმის გადაწყვეტას. ეს კითხვა სამკვიდრო-სასიცოცხლო კითხვაა. ბ. დარახველიძე მხოლოდ მსესხებელთა სასარგებლოდ ლაპარაკობს და არა ბანკის საკეთილ-დღეოთ, მაგრამ მისი ნალაპარაკევი არც მსესხებელთათვისაა დიდათ სასარგებლო და ტყუილად შეცდომაში შეჰყავს ისინი ორატორს. $^1/_4\,^0/_0$-ის დაკლებით მსესხებელს ყოველ 1000 მანეთზე აკლდება 2 მან. 50 კ.; სესხის საშუალო რიცხვად რომ 10,000 მ. მივიღოთ, გამოდის, რომ 10,000 მანეთიდან მსესხებელს ეპატიება 20 მანეთი, თუ რაღაცა. ერთი მითხარით, 20 მანეთის გულისათვის რომელი მსესხებელი ისურვებს ქუთაისიდან ტფილისში თრევას და მამულის დაგირავებას! რაც შეეხება თ. ფალავას იმედებს, ვითომც ტფილისის ბანკში დაგირავებული მამულები ჩვენსაში გადმოვა და ფეხზე დაგვაყენებსო, ეგ შემცდარი აზრია: ტფილისის ბანკში არც იმდენი მამული გადასულა, რომ მისმა დაბრუნებამ ფეხზე დაგვაყენოს და, თუ გადავიდა, ეს ჩვენს ბანკში არსებული დიდი $^0/_0$-ის წყალობით კი არ გამხდარა, არამედ გრძელ-ვადიანი კრედიტის უქონლობით.

მ. ე. დარახველიძე: ძრიელ ტყუილია ბ. ზდანოვიჩის აზრი, ვითომც მე მარტო მსესხებელთა ინტერესებს ვიცავდე; ტყუილია, ვითომც სკოლის არსებობა ამ $^1/_4\,^0/_0$-ზე იყოს დამოკიდებული. ეს რომ ასე იყოს, მე პირველი უარს განვაცხადებდი $^0/_0$-ის დაკლებაზე.

გამგეობის თავმჯდომარე: სრულიად ვეთანხმები პატივცემული ზდანოვიჩის აზრს და დიდათ შეწუხებული ვიქნები, რომ ბანკმა ზარალი ნახოს და დაიღუპოს ის სიმპატიური დაწესებულება (ე. ი. სკოლა), რომელიც ბანკის საშუალებიდან არსებობს.

თ. მ. გ. ფალავა: ბატონი ზდანოვიჩი სცდილობს დაამტკიცოს, ვითომც ბანკს კრედიტი არა აქვს. როგორც ზემოდ ვთქვი, ბანკს აქვს კრედიტი; შემცდარი აზრია ისიც, ვითომც 25 მანეთს—და არა 20-ს, მნიშვნელობა არა ჰქონდეს მსესხებლისათვის. მე ვიცი მაგალითი, რომ 25 მანეთისათვის კი არა, 12 მანეთის შეუტანლობით ძვირფასი მამული დარჩა ბანკს. რაც შეეხება იმას, მოგვცემს თუ არა სამინისტრო დიდი სესხის გაცემის ნებას, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის უარს არ ეტყვის დეპუტაციას, თუ, რასაკვირველია, ხეირიანად დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენს.

დ. ნ. ბაქრაძე: $^0/_0$-ის დაკლებით თავად-აზნაურობაზე ნაკლებ არ იზარალებენ მსესხებლები: ამ $^0/_0{}^0/_0$-ით მარტო თავად-აზნაურთა სკოლა კი არ სარგებლობს, არამედ ბანკის ყველა წევრები და—კიდევ უფრო შორს წავალ—მთელი ჩვენი მხარე. ხშირად უმაღლეს მთავრობასთან გვჭირდება დეპუტაციის გაგზავნა, რომელიც შუამდგომლობს მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილ-დღეოთ. როგორ გნებავთ დეპუტაციის გაგზავნა, თუ ბანკში ფული არა გაქვთ.

ბ. გაბუნია: ვინც რას იტყვის, ყველას ტაშის ცემით ვაჯილდოვებთ; ასე არ შეიძლება: უთუოდ ან ერთია მართალი და ან მეორე, მაგრამ ჩვენ ვერ ვატყობთ ამას. ამიტომ, ჩემის ფიქრით, საჭიროა მოვიწვიოთ ფინანსისტები და იმათ გამოვარკვევიოთ, რომელი აჯობებს, $^0/_0$ ის დაკლება, თუ დაუკლებლობა.

მ. ა. ქიქოძე: საჭიროა ვიცოდეთ, შუამდგომლობა მაინც იყო გაგზავნილი, რომ მეტი სესხის გაცემის ნება მოეცათ, თუ არა?

თ. ნ. დ. ერისთავი: იყო, მაგრამ უარი გვითხრეს.

კრების თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საზოგადოებას თავისის აზრის წარმოთქმის ნება მისცეს ბ. სვანიძეს, რომელიც ამ საქმესთან ძლიერ დაახლოვებულიაო.

საზოგადოება სთხოვს ბ. სვანიძეს თავისის აზრის წარმოთქმას.

თ. ბ. სვანიძე: ამ ჟამად ქუთაისის ბანკს აქვს გაცემული სესხი 4,000,000 მან. რომელიც ნამდვილი წყაროა და შემოაქვს მოგება 40,000 მანეთი. ტფილისის ბანკში ეხლა ძლიერ ნაკლებად გადადის მამულები. თუ დავრწმუნდებით, რომ ნამდვილად გაიცემა იმდენი სესხი, რომლის შემოსავალსაც შეეძლება $^1/_4{}^0/_0$ დაკლებით გამოწვეული ზარალის დაფარვა, მაშინ $^0/_0$-ის დაკლების წინააღმდეგი არ უნდა გავხდეთ. იმის შესახებ, შეეძლება, თუ არა ბანკს მეტი სესხის გაცემა; ტფილისის ბანკიდან გადმოვა მამულები ჩვენს ბანკში, თუ არა—ამის შესახებ უნდა შემდეგი მოგახსენოთ: სამინისტრო ნებას გვაძლევს—ხუთის წლის შემდეგ, თუ პატრონი ისურვებს, ხელ-ახლად შევაფასოთ ადგილი და მეტი სესხი მივცეთ. ეს, ჩემის ფიქრით, ხელს შეგვიწყობს, ტფილისში დაგირავებული მამული აქეთ გადმოვიტანოთ. რაც შეეხება ახალი მამულების დაგირავებას, წელს 450,000 მანეთის მამული უკვე დავიგირავეთ და ეხლაც 60,000 მანეთის მამულია დასაგირავებელი, მხოლოდ $^0/_0$-ის დაკლებას უცდიან პატრონები. ამგვარად, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ წელში სულ უკანასკნელი 700,000—800,000 მანეთი გაიცემა. თუ ამ წელში არა, მომავალ წელში მაინც დაიხურება ზარალი და შემდეგში მოგება დაგვრჩება. ეხლა ის უნდა ვიკითხოთ, როდის უნდა შემოვიღოთ დაკლებული $^0/_0$? თუ ივლისში შემოვიღეთ, მაშინ ამ წელში ვნახავთ ზარალს 5,000 მ.

გამგეობის თავმჯდომარე: არ მინდა გრძელი სიტყვით საზოგადოება შევაწუხო. მე მგონია, დეპუტაცია სექტემბერში გაემგზავრება რუსეთს შუამდგომლობისათვის. ჩემის ფიქრით, უკეთესი იქნება მოვიცადოთ, რა პასუხს მოგვიტანს დეპუტაცია; მაშინ მე არაჩვეულებრივ კრებას მოვახდენ და მაშინ განვსაჯოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ.

კრების თავმჯდომარე კენჭს უყრის გამგეობის თავმჯდომარისაგან წამოყენებულ აზრს და $^0/_0$-ის ეხლავე დაკლების მსურველთა აზრს. 73 ხმის უმეტესობით 68 წინააღმდეგ გადაწყდა შემოღებულ იქმნეს ამ წლის პირველი ივლისიდან ყოველ-წლიური გადასახადი $^3/_4{}^0/_0$.

შემდეგ ატყდა კამათი იმის შესახებ, რამდენი კაცი გაიგზავნოს დეპუტაციად და ვინ. გადაწყდა: გაიგზავნოს სამი კაცი: ერთი თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლი, ერთი გამგეობის და ერთიც ზედამხედველი კომიტეტის წევრი; მხოლოდ სახელდებ რომელი გაიგზავნოს, ეს უნდა გადასწყდეს ამ არჩევნებს შემდეგ.

სხდომა გადაიდო შემდეგი დღის დილის 10 საათისათვის.

დონ-ვალიანი

წერილი თელავიდან

წმ. ნინოს სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი.—სასწავლებლის წიგნთ-საცავი.—წინანდალში გასეირნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა

2-ს ივნისისათვის თელავის დედათა სასწავლებელში დანიშნული იყო წლიური აქტი. წელს ამ სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 20 ქალმა, ამათგან 9 ქართველია და 11 სომეხი. ქართველების გვარები: ჯანდიერი, ჯორჯაძე თ., ჯორჯაძე მ., იორამოვი, დაშხაური, ზანდუკელი, ხელაშვილი, აბელოვი და გოშაძე. მოსწავლეთა მშობლებმა და ნათესავებმა დილიდანვე მოიყარეს თავი. სასწავლებლის დიდი დარბაზი ვეღარ იტევდა დამსწრე საზოგადოებას და ნაწილი სხვა ოთახებში გასულიყო. 11 საათზე დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ზედამხედველმა ბ-ნმა მაყნიკოვმა წაიკითხა მოკლე ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ სასწავლებელში 186 მოსწავლეა, ამათგან 8 რუსია, 75 სომეხი და 103 ქართველი. ჩამომავლობით 67 თავად-აზნაურია, 93 მოქალაქის ქალიშვილი 19 სასულიერო წოდებისა, 7 გლეხისა და 1 ჯარის-კაცის ქალიშვილი. ამავე ანგარიშიდან სჩანს, რომ წიგნთ-საცავი სასწავლებლისა მეტად ღარიბია, თუმცა ნივთიერად სასწავლებელი კარგ მდგომარეობაშია. საზოგადოდ სასწავლებლის გამგეობისა და, განსაკუთრებით, მისის თავმჯდომარის სოფიო სტანის-ასულის განსვეჩის მეცადინეობით სასწავლებელს მუდამ წელიწადს შემოსავალი სჭარბობს ხარჯს. გადარჩენილ ფულიდან 8000 მან. უკვე მიუმატებიათ სასწავლებლის ფონდისათვის და ეს ფონდი და 21000 მან. გადუქცევიათ. ამათსავე მეცადინეობით მდგომარე წლიდან სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნა სასწავლებელს წელიწადში 1000 მან. ამ წლისა უკვე მიუღია გამგეობას.

ამ წელიწადს სწავლა დასრულებულთა შორის უკეთესნი სომხები არიან. ამათგან ბევრმა მიიღო ჯილდო. ერთი თავად-აზნაურთაგანი უნდა გაიგზავნოს ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე. წესდებით, ის უნდა გაიგზავნოს, ვინც კარგად სწავლობს.

წელს სასწავლებელმა გადაუხვია ძველ წესს, რომლითაც კარგ მოსწავლეს არჩევდა ხოლმე: საპედაგოგიო რჩევამ შეადგინა კურს დამთავრებულთა სია ნიშნების ჯამის მიხედვით და გადასცა სასწავლებლის გამგეობას; უკანასკნელმა კიდევ ორი მოსწავლის მოწმობა წარუდგინა ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საქველმოქმედო საზოგადოებას. გამოვიდა, რომ საპედაგოგიო რჩევამ და გამგეობამ უარი სთქვეს თავიანთ უფლებაზე და გადაწყვეტით უკეთესი მოსწავლე არ დაასახელეს. ამისთანა საქმეში ორჭოფობა, მორიდება და სხვ. ამისთანები დიდად მავნებელია და მოსწავლეებზედაც ცუდს გავლენას იქონიებს. ამიტომ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რომ რჩევამა და გამგეობამ უკეთეს მოსწავლეს პირდაპირ არ მიუსაჯეს სტიპენდია და თვისი უფლება გადასცეს იმათ, რომელნიც სრულიად არ იცნობენ არც ერთს მოსწავლეს.

სასურველია, გამგეობამ ჯერ-ჯერობით უარჰყოს მეცადინეობა ფულის გადარჩენაზე და სასწავლებლის ორი დიდი ნაკლი შეავსოს: ერთი,—წიგნთ-საცავი თხოულობს გამგეობის სრულს ყურადღებას. ამისათვის დაუზოგველობა და გულუხვობა უნდა გამოიჩინოს გამგეობამ. წიგნთ-საცავი ისე უნდა მოეწყოს, რომ მან დაავიწყოს მოსწავლეთ კარჩაკეტილ ცხოვრებისაგან გამოწვეული დარდიანობა და ამასთან მისცეს გონების საღი საზრდო. მეორე,—გალობა-სიმღერისათვის მეტი ფული გაიმეტოს და უკეთესად მოაწყოს ეს საქმე, რომელსაც სხვა საგნებთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრებისათვის.

აქტზე დამსწრეთა შორის იყო კახეთის საუფლისწულო მამულების გამგეს მეუღლე, რომელმაც კურს-დამთავრებულნი უფროსებითა, მასწავლებელ ქალებითა და კაცებით მიიწვია წინანდალში. 4 ივნისს ყველანი ერთად წავიდნენ. ქ-ნმა კურთელოვისამ და თვით გამგემ დიდის სიამოვნებით მიიღეს სტუმრები და ყოველი საშუალება აღმოუჩინეს მამულის დასათვალიერებლად. დაათვალიერეს სასეირო ბაღი, სადაც ბევრი შესანიშნავი მცენარები გაიცნეს, სხვათა შორის პრობკის ხე; ნახეს სამაგალითო საჭიე, დაათვალიერეს ზვრები, ღვინის სარდაფი და სხვ. შემდეგ სტუმრებს გაუმასპინძლდა ბ. კურთელოვი და საღამოთი თელავში დაბრუნდნენ.

ნადიკვრელი

წერილი ბაქოდან

ზაფხულის სიცხე და ლტოლვა ბაქოდან.—ნავთის კრიზისის შედეგი.—ცეცხლის გაჩენა.—ქალაქის ახალი თავი და მისი მოქმედება.

ზაფხულის მოახლოვებისათანავე საშინელი სიცხეები დაიჭირა ბაქოში; ამას დაუმატეთ უწყლობა, ქუჩების მოურწყაობა, საშინელი ქარი და სულის შემხუთავი მტვერი და ადვილად მიხვდებით, რა სისწრაფით გაეშურება აქედან ახლა ყველა, ვისაც-კი შეძლება აქვს თავს უშველოს. მაგრამ აქაურმა საშინელმა კრიზისმა ბევრს ისეთი დღე დააყენა, რომ არა თუ აგარაკი დაავიწყა, ვირის აბანოშიაც ამოაყოფინა თავი. ბევრი, წინად შეძლებული და მდიდარი, იძულებული გახდა მიეტოვებინა ცოლშვილი და ჩუმად გაქცეულიყო ბაქოდან, რათა შეუბრალებელ კრედიტორებისაგან თავი დაეხწია. ვინც ეს ვერ მოახერხა, ის საპყრობილეში ჩააბძანეს კრედიტორებმა, კანონის ძალით, და დღიური სარჩოც დაუნიშნეს. ასეთი ცვალებადი უოფილა შეუბრალებელი ბედი!

აგერ ერთ კვირაზე მეტია, ისე დღეს არ გაუვლია, რომ სადმე ცეცხლი არ გაჩენილიყო. თითქმის ქალაქის ყოველ მხრიდან ჰსჩანს დღე და ღამ ალი და კომლი ცეცხლ-მოკიდებულ ნავთისა. იწვის ნავთი და მაზუთი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ხან შემთხვევაა, ხანაც ნავთის პატრონის სურვილი, რათა, ცოტაც არის, განაღდოს დაზღვეული და შენახული ნაწარმოები. ეს დაუსრულებელი ნავთის ცეცხლი და კომლი კიდევ უფრო ჰწამლავს უიმისოდაც მოწამლულს აქაურ ჰაერს.

ბაქოს ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ახალი თავი ჰყავს. ბ-ნმა, ნოვიკოვმა, წარსდგა რა პირველად საბჭოს წინაშე, საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის მან განმარტა საზოგადოდ ქალაქის თვით-მმართველობის არსებობის უმთავრესი მიზანი, აღნუსხა ის მთავარი საგნები, რომელნიც შეადგენენ ეხლა ბაქოს არსობით საჭიროებას, როგორც მაგ. წყალი და სხვა. განმარტა, როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს ქალაქის საბჭოსა და გამგეობის ანუ, უკეთა გსთქვათ, ქალაქის თავის შორის. აღუთქვა ხმოსნებს შრომა და პირუთვნელი მოქმედება და დასასრულ ცოტაოდენი დარიგებაც ჰკადრა თავისს ამომრჩევლებს, ანუ ქალაქის მამებს.

იმ დღიდან დაწყებული ქალაქის ახალი თავი, მართლაც, გულმოდგინედ შეუდგა შრომას: თითქმის ყოველ დღე მართავს სხვა და სხვა კომისიების და საბჭოს კრებებს, რათა ბოლო მოუღოს დაგვიანებულ საქმეების განხილვასა და გადაწყვეტას. ზარმაცობას დაჩვეული ხმოსნები ჯერ-ჯერობით უმაწვილებივით ემორჩილებიან თავიანთ ახალ თავს, მაგრამ, ვგონებ, დიდ ხანს ვერ გასტანოს ამ მორჩილებამ. ჩვეულება ხომ, როგორც მოგეხსენებათ, სჯულზე უმტკიცესია, ამიტომაც, ადრე თუ გვიან, ბაქოს მამებიც უეჭველია დაუბრუნდებიან თავიანთ ძველ ჩვეულებას, ამის ნიშნებს ეხლაც ვხედავთ. ბ-ნი ნოვიკოვი ისეთი განათლებული და გამოცდილი მოღვაწეა, რომ ადვილად შეუძლიან გამოაბრუნოს ბაქოს ქალაქის აწეწილი საქმეები, თუ ხმოსნებმა მხარი არ შეუშალეს.

წყალტუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივნისი

ვარშავა. „კალიშის გაზეთი" იუწყება, რომ კალიშის გზის შეერთების საქმე პრუსიის რკინის გზებთან მალე გადასწყდებაო. საქონლის გადატვირთვა მოხდება რუსეთის ადგილზედ.

ხარკოვი. წარსულ ღამეს ქალაქსა და იმის ახლო-მახლო დიდი ჭექა-ქუხილი ასტყდა, რასაც წვიმა და სეტყვა მოჰყვა. დაზარალდა ბოსტნები. ზოგან რკინის გზის ლიანდაგია წახდენილი.

ვიბორგი. ნიულანდის გუბერნატორმა გენერალმა კაიგოროდოვმა შეამოწმა, რომ აქ მართლ მადიდებელთა სასაფლაოზედ დასაფლავებულნი არიან რუსის მეომარნი, რომელნიც პეტრე დიდის დროს დაიღუპნენ. გუბერნატორისა, საზღვაო კორპუსის კადეტთა და ზღვაოსანთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

პარიზი. ქ-ნ იავორსკის რუსულმა დასმა დაამთავრა წარმოდგენების მართვა ანტუანის თეატრში. ძალიან მოეწონა საზოგადოებას იავორსკის ქალის თამაში ჩეხოვისა, გორკისა და ბარიატინსკის პიესებში.

სევასტოპოლი. აქ მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი.

კიევი. სამხედრო ოლქის სასამართლომ, განიხილა რა საქმე გლეხის ჩეპენისა, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა სამართალში მისცა, დამნაშავედ იცნო იგი სამსახურს გარეშე მყოფ გენ.-ლეტ. ვეიგის მოკვლის განზრახვისათვის ® გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 20 წლით გაგზავნა. ეს საქმე ომიანობის დროის წესით გაირჩა.

9 ივნისი

პეტერბურგი. საქსონიის მეფის გარდაცვალებისა გამო მათი უდიდებულესობის სასახლეში 24 დღეს იმგლოვიარებენ.

ბელგრადი. უსკიუბის ეპისკოპოსს ფირმილიანს აღარ აკურთხებენ ათონის მთაზე, რადგან საბერძნეთის ადგილობრივი სასულიერო პირნი წინააღმდეგნი არიან.

სარატოვი. მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი ასტრახანის რკინის გზისა, რომელიც გაივლის ვოლგის მარცხენა ნაპირზე სარატოვამდე. ვოლგაზე ხიდი იქმნება გაკეთებული.

ეკატერინბურგი. უფასა და ზლატოუსტს შუა, ტუნდუშის სადგურის ახლო რკინის გზის მატარებელს უბედურება შეემთხვა. დაიმტვრა 13 ვაგონი. მოკლულია კონდუქტორი.

ლვოვი. სეიმზე გრაფმა პოტოცკიმ წარმოსთქვა, რომ, როგორც პოლშის ისტორიული წარსულიდამაც სჩანს, ხალხი, რომელიც თავის წარსულს აფასებს და მომავალშიაც სწადს იმოქმედოს სამშობლოსათვის, არას დროს არ მოისპობა განსაკუთრებულ კანონების შემოღებით და სხვა გვარათ მათი დევნით. ამ ხალხმა თავის ეროვნების დასაცავად უნაყოფო დემონსტრაციებით კი არ უნდა იბრძოლოს, არამედ უნდა იშრომოს ნაციონალურ ძალ-ღონის შეერთებისა და გაძლიერებისათვის. თავისს მოვალეობის ასრულების დროს, აქაც ამ ქვეყანაში დაივიწყოს ერთი ერის მეორე ერისადმი სიძულვილი. დაე, ყოველმა ერმა იშრომოს თავისიანების გასაძლიერებლად. ეს გზა კარგ ნაყოფს მოიტანს.

სიბილლენორტი. მეფის გვამი დრეზდენში მიასვენეს. ორშაბათს დაასაფლავებენ.

პარიზი. ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტმა ხელი მოაწერა 106,000,000 ფრანკის სესხის პირობას.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო კვლავ გამოიცეს გაზ. „პრიდნეპროვსკი კრაი", რომელიც მდგომარე წლის 30-ს მარტს მინისტრისავე განკარგულებით შეჩერებულ იყო.

პოლკოვნიკი თავ. ენგალიჩევი დაინიშნა ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკის უფროსად.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დღის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.